



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ბარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველოს უფროსის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 27
09/08/2017

ქ. ბათუმი

27-08-4-201708091359



**მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების
სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
განხორციელების შესახებ**

ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ტერიტორიებზე არსებულ მდინარეებში (მდ. მეჯინისწყალი, ჟილინის არხი, მდ. ბარცხანისწყალი, მდ. ყოროლისწყალი, მდ. ჩაქვისწყალი, მდ. დეხვა, მდ. აჭყვა და მდ. კონტრიში) აქტიურად დგას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურების პრობლემა. საყოფაცხოვრებო ნარჩენები მდინარეებს ჩამოაქვს ზღვაში და ბინძურდება, როგორც ზღვის წყალი, ასევე სანაპირო ზოლი, რაც ტურისტული სეზონის პერიოდში უარყოფითად მოქმედებს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე დამსვენებლებზე.

მდინარეების მიერ ჩამოტანილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით ზღვისა და სანაპირო ზოლის დაბინძურებისგან დაცვის მიზნით საჭიროა მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების შეძენა, რომლებიც უზრუნველყოფს მდინარეებზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეკავებას და ზღვისა და სანაპირო ზოლის დაცვას დაბინძურებისაგან.

მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების შეძენისათვის საჭიროა 180776 (ასოთხმოცი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარი, რომელიც დადგინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ - მდინარეების (მეჯინისწყალი, ჟილინის არხი, ბარცხანისწყალი, ყოროლისწყალი, ჩაქვისწყალი, დეხვა, აჭყვა და კონტრიში) ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების განსაზღვრის, მისი შეძენისა და მონტაჟის ხარჯების გამოთვლის, პროექტისა და გეგმის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მეშვეობით.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2017 წლის 9 აგვისტო

№159 ბრძანების თანახმად - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების შექმნისათვის, შემდგომში ქალაქ ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების საკუთრებაში გადაცემის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 180776 (ასოთხმოცი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარი.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით სახელმწიფო შესყიდვის საშუალებების შერჩევისათვის დადგენილი ერთგვაროვნებისა და მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით, მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვები უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

ელექტრონული ტენდერის მეშვეობით შესყიდვის განხორციელება დაკავშირებულია მთელ რიგ პროცედურებთან, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შესყიდვის განხორციელების ვადებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების გაფორმება მიმწოდებელთან შესაძლებელი იქნება დაახლოებით ერთი თვის შემდეგ. მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების შესყიდვა კი, რომლებიც უზრუნველყოფს მდინარეებზე მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეკავებას და ზღვისა და სანაპირო ზოლის დაცვას დაბინძურებისაგან, მნიშვნელოვანია განხორციელდეს შეზღუდულ ვადებში (ტურისტული სეზონის პერიოდის დასრულებამდე).

აღნიშნულიდან გამომდინარე, „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2010 წლის 7 დეკემბრის №53 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მდინარის ზედაპირზე მოტივტივე ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით 180776 (ასოთხმოცი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ფინანსური უზრუნველყოფის სამსახურს (ნ.ნაგორნაია) დაევალოს გამარტივებული შესყიდვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების კანონმდებლობით დადგენილი წესით შეთანხმებისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანების შესაბამისი პირებისადმი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ადმინისტრაციულმა სამსახურმა (კ. შალამბერიძე).

4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (ქალაქი ბათუმი, კონსტანტინე გამსახურდიას ქ. №9) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში და ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ჯემალ ნაკაშიძე



სამმართველოს უფროსი